# ოქმი № 7

## ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 10 სექტემბრის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ

**საბჭოს წევრები:** თ. ქადეიშვილი, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ლ. ეფრემიძე, ხ. ინასარიძე, მ. მანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე,

**სათათბირო ხმის უფლებით:** ნ. ფარცვანია (ინსტიტუტის დირექტორი).

**საბჭოს მდივანი** ლ. გოგოლაური

დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი :

1. ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების გამგის არჩევა.
2. მიმდინარე საკითხები.

**1. მოისმინეს** ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების გამგის არჩევნების კონკურსის სამდივნოს წევრის ო. ჭკადუას ინფორმაცია: შემოსულია ერთი, მიხეილ მანიას, გაცხადება.

მიხეილ მანიამ საბჭოს გააცნო მისი გეგმები განყოფილების გამგედ არჩევის შემთხვევაში.

საბჭომ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია მ. ელიაშვილის, მ. ჯიბლაძის დან. შავლაყაძის შემადგენლობით.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგად მიხეილ მანია ერთხმად არიჩიეს ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების გამგედ.

**2. მოისმინეს:** ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო მივლინებებში ყოფნის პერიოდში თანამდებობრივი სარგოების შენარჩუნება-შეჩერების წესი შესახებ, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

" I. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო მივლინებებში ყოფნის პერიოდში თანამდებობრივი სარგოების შენარჩუნება-შეჩერების წესი განისაზღვროს შემდეგნაირად:

1) თანამშრომელს სრულად შეუნარჩუნდეს თანამდებობრივი სარგო, თუკი სამეცნიერო მივლინების ხანგრძლივობა წელიწადში არ აღემატება 90 კალენდარულ დღეს;

2) თუკი სამეცნიერო მივლინების ხანგრძლივობა წელიწადში აღემატება 90 კალენდარულ დღეს და არ აღემატება წელიწადში 180 კალენდარულ დღეს, მაშინ პირველი 90 კალენდარული დღის სათანადო თანამდებობრივი სარგო თანამშრომელს შეუნარჩუნდეს სრულად, ხოლო შემდეგი დღეების შრომის ანაზღაურება მოხდეს თანამდებობრივი სარგოს 50 %-ის ოდენობით;

3) თუკი სამეცნიერო მივლინების ხანგრძლივობა აღემატება წელიწადში 180 კალენდარულ დღეს, მაშინ პირველი 90 კალენდარული დღის სათანადო თანამდებობრივი სარგო თანამშრომელს

შეუნარჩუნდეს სრულად, შემდეგი 90 კალენდარული დღის შრომის ანაზღაურება მოხდეს თანამდებობრივი სარგოს 50 %-ის ოდენობით, ხოლო 181-ე კალენდარული დღიდან მივლინებაში მყოფ თანამშრომელს შეუჩერდეს თანამდებობრივი სარგო სრულად მივლინებიდან დაბრუნების დღემდე.
II. ეს წესი ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან.”

ნ. ფარცვანიამ აღნიშნა, რომ ზემოთ მოყვანილი წესი შეიმუშავა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2008 წლის 7 ივლისის № 17-08-2/8604 წერილის, “მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

საბჭომ კენჭისყრის შედეგად მოიწონა ეს წინადადება.

საბჭოს თავმჯდომარე თორნიკე ქადეიშვილი

საბჭოს მდივანი ლ. გოგოლაური

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების გამგის საარჩევნო

ბიულეტენი

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 10 სექტემბრის N7 სხდომა

მიხეილ მანია    თანახმა ვარ    არ ვარ თანახმა

---

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების გამგის საარჩევნო

ბიულეტენი

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 10 სექტემბრის N7 სხდომა

მიხეილ მანია    თანახმა ვარ    არ ვარ თანახმა

---

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების გამგის საარჩევნო

ბიულეტენი

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 10 სექტემბრის N7 სხდომა

მიხეილ მანია    თანახმა ვარ    არ ვარ თანახმა

---

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების გამგის საარჩევნო

**ბიულეტენი**

**ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 10 სექტემბრის N7 სხდომა**

| | | |
|---|---|---|
| მიხეილ მანია | თანახმა ვარ | არ ვარ თანახმა |